საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 26 (6665) 26 ივლისი ოთხშაბათი 1995 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიმოქცევიდან ამოდის 1-დან 30 ათასის ღირსების კუპონები

ფულის მიმოქცევის სფეროში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე და ბალი ნომინალის კუპონები აღარ მონაწილეობენ ანგარიშსწორების პროცესში და ხდება მათი როგორც მოსახლეობის ხელზე, ისე საბანკო დაწესებულებათა სალაროებში უმოქმედოდ დაგროვების ფაქტები. აღნიშნული ვითარება ხელს უშლის ფულადი მასის რეგულირებას, იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის მოსახლეობული ფულადი რეფორმის მაღალეფექტიანად და მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში განხორციელებას. ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც 1995 წლის პირველი ივლისიდან პირველ აგვისტომდე ამოღებული იქნება მიმოქცევიდან 1—დან 30 ათასი (ჩათვლით) ღირსების კუპონების ბანკნოტები.

მოსახლეობის ხელზე არსებული 1—დან 30 ათასი ღირსების კუპონების გადაცვლა უფრო მაღალი ღირსების კუპონებზე ხორციელდება ახალი ქართული ბანკის (ყოფილი შემნახველი ბანკის) განყოფილებებში იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ბანკნოტები შეწყვეტენ მიმოქცევას როგორც კანონიერი გადახდის საშუალებები 1995 წლის პირველი აგვისტოდან. ამასთან თუ დაბალი ღირსების ბანკნოტების გადაცვლა უფრო მაღალი ღირსების ბანკნოტებზე შეუძლებელი გახდა იმასთან დაკავშირებით, რომ მათი საერთო ღირებულება არ აღმოჩნდა 50 ათასი კუპონის შესატყვისი, დარჩენილი თანხა (ე. წ. კუდი) შეიტანება ახალი ქართული ბანკის შესაბამის განყოფილებაში დეპოზიტზე. ფულადი რეფორმის დამთავრებამდე.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხელფასები პენსიები და მათთან გათანაბრებული გაცემები უნდა დამრგვალდეს 50 ათასი კუპონის ფარგლებში.

საბანკო დაწესებულებები, კავშირგაბმულობის საწარმოები, ყველა სხვა იურიდიული პირები, რომლებიც აწარმოებენ ნაღდ ფულად ოპერაციებს,ვალდებული არიან შეუფერხებლად მიიღონ 1—დან 30 ათასი ღირსების კუპონები 1995 წლის 1 აგვისტომდე.

## საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის განკარგულება

რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 13 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს და 1995 წლის 1 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ დეპარტამენტ «საქენერგოსა» და საბითუმო გადამყიდველების ელექტროქსელებიდან მოსახლეობისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის სეზონური ტარიფი—ერთი კილოვატსაათი 25 ათასი კუპონის ოდენობით (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით).

2. დაწესდეს, რომ სეზონური ტარიფით ანაზღაურდება მხოლოდ საბინაო მრიცხველებით აღრიცხული ელექტროენერგიის ღირებულება.

3. ერთი აბონენტის მიერ ელექტროენერგიის თვიური მოხმარების ლიმიტი დაწესდეს 100 კილოვატსაათის ოდენობით, ხოლო აღნიშნული ლიმიტის ზევით მოხმარებული ელექტროენერგიის ტარიფი განისაზღვროს ერთი კილოვატსაათი 45 ათასი კუპონი.

4. 1995 წლის პირველი ივლისიდან ყველა სახის საბითუმო გადამყიდველებისათვის (გარდა „თელასისა") გასაცემი ელექტროენერგიის ერთიანი ტარიფი დაწესდეს ერთი კილოვატსაათი 27 ათასი კუპონი, ხოლო „თელასისათვის" განისაზღვროს ცალკე გაანგარიშების საფუძველზე „საქენერგოსა" და „თელასს" შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

ო. ფაცაცია.

სპეციალისტები განმარტავენ

## მიწის გადასახადი—ბიუჯეტის ძირითადი წყარო

**საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულებით რესპუბლიკაში შემოღებულია სასოფლო—სამეურნეო მიწებით სარგებლობისათვის გადასახადი. ბრძანებულების გამოსვლიდან უკვე 7 თვე გავიდა, რას ითვალისწინებს ბრძანებულება მიწის გადასახადის შესახებ და როგორ სრულდება იგი რაიონში—ამ საკითხებზე რამდენიმე კითხვით მივმართეთ საგადასახადო ინსპექციის უფროსს ზურაბ ბუბაშას და მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის განყოფილების გამგეს [illegible] სოლაძეს.**

**ვინ იბეგრება მიწის გადასახადით?**

ბრძანებულებით მიწის გადასახადით იბეგრება სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული სასოფლო—სამეურნეო მიწები, გაკულტურებული სათიბები და საძოვრები, დასახლებული პუნქტების ფარგლებში მოქცეული სასოფლო—სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ან გამოსაყენებლად ვარგისი, აგრეთვე სასოფლო (სადაბო) დასახლებული პუნქტების ფარგლებში მოქცეული სამოსახლო საცხოვრებელი სახლების და სასოფლო—დანიშნულების შენობა—ნაგებობების ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაკვეთები.

მიწაზე საკუთრების კანონის მიღებამდე მიწის გადასახადს იხდიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც მიწა სახელმწიფო აქტით გადაცემული აქვთ უვადო სარგებლობაში. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც იჯარით ან ქვეიჯარით აქვთ აღებული სასოფლო—სამეურნეო მიწის ნაკვეთები, მიწის გადასახადს არ იხდიან, ამ ნაკვეთებზე მიწის გადასახადის გადახდა შესაბამისად ეკისრება მეიჯარე—მიწის მესაკუთრე ფიზიკურ პირებს და მიწის იჯარით გაცემისათვის სახელმწიფოსაგან უფლებამოსილ იურიდიულ პირებს.

**როგორ იანგარიშება მიწის გადასახადი?**

მიწის გადასახადის განაკვეთი, ანუ ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით მიწის ყოველწლიური გადასახადის სიდიდე უნდა დაწესდეს სამი წლის განმავლობაში სტაბილური გადასახდელის სახით და განისაზღვროს მყარ ვალუტაში (აშშ დოლარებში). გადასახადის გადახდა განხორციელდეს ეროვნული ვალუტით თანხის გაწერის მომენტში აშშ დოლარის მიმართ მისი კურსის შესაბამისად.

ბრძანებულების №1 დანართით მიწის გადასახადის დიფერენცირებული და საშუალო რაიონული განაკვეთები ჰექტარზე ჩვენი რაიონისათვის განისაზღვრა. სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწებისათვის მიწის ხარისხის მიხედვით—კარგზე—14 დოლარი, საშუალოზე—6,8 დოლარი, მწირზე—4,0 დოლარი, ბუნებრივ სათიბებისათვის 2 დოლარი, ბუნებრივი საძოვრებისათვის —0,7 დოლარი.

**მიწის გადასახადის საშუალო რაიონული განაკვეთია 13,2 დოლარი.**

ბრძანებულების №2 დანართით ქალაქებისა და რაიონული ადმინისტრაციული ცენტრების ტერიტორიის ფარგლებში მოქცეული სასოფლო—სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ნაკვეთებით სარგებლობისათვის მიწის გადასახადის განაკვეთებიდან ჩვენი რაიონისათვის განისაზღვრა ჰექტარზე 20,0 დოლარი.

ამასთან დაწესებულია არსებული წესის შესაბამისად გამოყოფილი ფართობის გადამეტებით ვინც ფლობს მიწის ფართობს, მას გადამეტებულ ფართობზე გადახდება განსაზღვრული მიწის გადასახადის სამმაგი სიდიდის ტოლი ჯარიმა. ამასთან ჯარიმის გადახდა არ ნიშნავს დაჯარიმებული პირის უფლების აღიარებას შესაბამის ნაკვეთზე.

**ვინ თავისუფლდება მიწის გადასახადისაგან?**

ბრძანებულებით გათვალისწინებულია, რომ მიწის გადახდისაგან განთავისუფლდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებული კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციები, სპორტულ—გამაჯანსაღებელი კომპლექსები.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე დაფინანსებული სასოფლო—სამეურნეო პროფილის სასწავლებელი, სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტებისა და ექსპერიმენტული მეურნეობების საცდელი სადგურები, ნაკრძალები, ბუნების, ისტორიული ან კულტურის ძეგლებით დაკავებული მიწები, სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებისათვის, ელექტროსადგურებისა და საირიგაციო სისტემების ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი წყალსაცავების მიწები. აგრეთვე პენსიონერები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები, რომლებსაც ოჯახში არ ჰყავთ შრომისუნარიანი მეურვე პირები.

**როდის უნდა დამთავრდეს მიწის გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირების აღრიცხვა?**

მიწის გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირების აღრიცხვა და მათზე გადასახადის დარიცხვა უნდა მოხდეს ყოველი წლის 1 ივლისის მდგომარეობით, რომელსაც აწარმოებენ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მუშაკები მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად.

მიწის გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებს საგადასახადო შეტყობინებები უნდა ჩაბარდეს 1 აგვისტომდე.

**რა ვადებში უნდა დაიფაროს მიწის გადასახადი?**

იურიდიულმა პირებმა მიწის გადასახადი უნდა დაფარონ თანაბარწილად

**დასასრული მე—2 გვერდზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიწის გადასახადი—

## ბიუჯეტის ძირითადი წყარო

(დასასრული)

ოთ გადასახადი—15 აგვისტომდე და 15 ნოემბრამდე, ხოლო ფიზიკურმა პირებმა 31 დეკემბრამდე.

გადასახადის არათავისდროული გადახდის გამო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადამხდელს დამატებით დაეკისრება გადაუხდელი თანხის 0,3 პროცენტის გადახდა.

**რა მუშაობაა გატარებული რაიონში მიწის გადასახადის გაწერისათვის?**

საგადასახადო ინსპექციამ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, დროულად დავიწყეთ მუშაობა მიწის გადასახადის გაწერისათვის. დღეისათვის ადგილობრივ საკრებულოებში შექმნილი და დაკომპლექტებულია საგადასახადო მოლარეების შტატები. დაბეჭდილია სპეციალური ბლანკები მიწის გადასახადის გაწერისათვის, რომლებიც დაურიგდება მიწის გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებს. სოფლად მიწის გადასახადის აკრება ევალება საკრებულოში არსებულ საგადასახადო მოლარეებს, რომლებსაც მიეცემათ სპეციალური ქვითრები, რომლებიც ივსება ორ ცალად. ერთი ეძლევა გადამხდელს, მეორე ჩაეკრება საქმეში და გადმოეგზავნება საგადასახადო ინსპექციას, ამოღებული თანხა მთლიანად შედის ადგილობრივი საკრებულოს ანგარიშზე. შესული თანხის 50 პროცენტს საკრებულო გადარიცხავს რესპუბლიკურ ბიუჯეტში, დანარჩენს კი მოიხმარს დანიშნულების მიხედვით

...რკვეული სამუშაოებია გატარებული რაიონში. ჩატარდა მიწის ინვენტარიზაცია, აზომილია კერძო და საზოგადოებრივ სექტორში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, დადგინდა მიწის მიმღებთა კატეგორიები, რომლებსაც განესაზღვრა მიწის სარეფორმო ფონდი შესაბამისად მიწის ახალ ნორმამდე შესავსები ფართობი. შედგენილია სიები მიწის მიმღებთა კატეგორიების მიხედვით. მიღებულია მიწის მიღება-ჩაბარების აქტის ნიმუში, ამათგან ნაწილი დამოწმებულია და დარიგებულია საკრებულოებზე.

მაგრამ გატარებული მუშაობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, უსახსრობის გამო საკრებულოები ვერ ახერხებენ მიწის მიღება-ჩაბარების აქტების დაბეჭდვას. ძირითადად მიწის პრივატიზაციისათვის საჭირო თანხები ამოღებული უნდა იქნას მოსახლეობიდან საშუალოდ ერთ კომლს უწევს 3.4 აშშ დოლარის შესაბამისი თანხა.

მიწის ინვენტარიზაცია ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული ზოგიერთ სოფელში, კერძოდ, ჩხუტელსა და ქალაქ ცაგერში. ამასთან დიდი წინააღმდეგობაა ქალაქ ცაგერის მოსახლეობისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ მამაპაპური სოფლები, მიწის ნაკვეთების გამოყოფაში. რადგან მათთვის გამოყოფილ მიწის ფართობს ქვედა ცაგერში ფლობს ლუხვანოდან და ზარაგულიდან ჩამოსახლებული პირები მათზე ყველა მასალა მოკვლეულია და გადაცემულია სამართალდამცავ ორგანოებზე.

მართალია ბრძანებულებაში ჩაწერილია, რომ მიწის საკუთრების კანონის მიღებამდე მიწის გადასახადს იხდიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც მიწა სახელმწიფო აქტებით გადაცემული აქვთ უვადო სარგებლობაში, მაგრამ იმის გამო, რომ წინააღმდეგობებია, ე. ი. ვერ ესწრება აქტების დაბეჭდვა, მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტის ხელმძღვანელთა მითითებებით, გადასახადის გაწერა შეიძლება სოფლის კრებებზე დადგენილი სოფლის მოსახლეობის სიების მიხედვით

* * *

სასოფლო-სამეურნეო მიწებით სარგებლობისათვის გადასახადის გაწერა და ამოღება სახელმწიფოებრივი საქმეა, რადგან იგი რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღების, მიწის დაცვისა და მისი ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთ აქტუალურ ღონისძიებადაა მიჩნეული მარტო ჩვენი რაიონის ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროს მიწის გადასახადი შეადგენს დრო მიდის, ბრძანებულების შესაბამისად 1 ივლისის მდგომარეობით უნდა დამთავრებულიყო მიწის გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირების აღრიცხვა და მათზე გადასახადის დარიცხვა, რაც ჯერ არ დაწყებულა. ამიტომ ახლა მთავარია მოწოდებულმა ორგანოებმა მეტი გააკეთონ ამ საქმის დაჩქარებისათვის

**მევლუდ თოდიძე—**

პრივატიზაციისათვის გა

---

პრივატიზაცია

# ლოდინის ფასი..

პრივატიზაცია საქართველოს ბედნიერი მომავლის საწინდარია—აიძულებს აგრომრეწვბანკის ეს სასულელში მდგარი პლაკატი კლიენტებს, და ალბათ საქართველოს ყველა რაიონში ასეა. პრივატიზაცია თქვენი და საქართველოს ბედნიერი მომავლის საწინდარია, უფრო ფართო იმედებს იძლევა საქართველოს ტელევიზია, მაგრამ ეს გამეორებული ჩიჩინი ოდნავადაც ვერ ახდენს გავლენას ვერც პრივატიზაციის მიმდინარეობაზე და ვერც ჩვენს ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. სავაუჩერო ბაზარს კვლავინდებურად ტორავენ „დათვები“ და პრივატიზაციისადმი ეჭვით განწყობილ საზოგადოებას ამ პროცესისადმი ჭეშმარიტად მტრულ სიძულვილს უღვივებენ. ერთი საცოდავი, ფსევდო 30 დოლარიანი ვაუჩერის პატრონს კი ჯერაც ვერაფრით გაუგია, რა უყოს ამ ვაუჩერს, რომელიმე საწარმოს აქციაზე გადაცვალოს თუ რაც შეიძლება მომგებიანად დაიცალოს ხელი. პირველში კარგად ვერ გარკვეულა, ამიტომ მეორეს ამჯობინებს და სავაუჩერო ბაზარზე მისი ფასი 20 ათას რუბლს არ აღემატება. 30 დოლარი ნამდვილად ურჩევნია, მაგრამ რომ არავინ იძლევა? ეტყობა, ზოგი ჩალის ფასად ვაუჩერის მოცილებას უკეთესი დროისათვის მის შენახვას ამჯობინებს, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე არავინ აპირებს ვაუჩერის საქმეში დაბანდებას—ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, თუ აგრომრეწვბანკში განთავსებულ ვაუჩერის მიმღებ პუნქტს ეწვევით.

ეს ორი ქალბატონი თქვენ უნდა მოგემსახუროთ, ერთი ვაუჩერის მიღებაზე მუშაობს, მეორე განაცხადის რეგისტრაციაზე. მუშაობსო, ვამბობთ, თორემ ამ ერთი თვის განმავლობაში, რაც პუნქტი არსებობს, ჯერ ერთი განაცხადიც არ მიუღიათ. ხალხი კი შემოდის, კითხულობს საბარათო აუქციონზე გატანილ ობიექტთა ნუსხას, იმ მწირ მონაცემებს, რაც ნუსხაშია შეტანილი და.. გადის. რაიონში ჯერ არავის გამოუთქვამს სურვილი მიმღები პუნქტის მეშვეობით დაებანდებინა თავისი ვაუჩერი რომელიმე სააქციო საზოგადოებაში. უკვე ორი აუქციონი ჩატარდა, მაგრამ ლეჩხუმელებს მათში მონაწილეობა არ მიუღიათ (თუ ვიმსჯელებთ ვაუჩერის მიმღები რაიონული პუნქტის მონაცემებით) სხვათაშორის, როგორც ჩანს, არც სხვები იკლავენ მაინცდამაინც თავს. როგორც რეგისტრატორმა როზა ჩაკვეტაძემ თქვა, პირველი აუქციონის მასალების ქუთაისში ჩატანისას აღმოჩნდა, რომ დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონიდან ცარიელი პაკეტები მოვიდა. მხოლოდ სენაკის წარმომადგენელმა მოიტანა პაკეტი, რომელშიც ერთი, დიახ ერთადერთი ვაუჩერი იდო.

არადა, პასიურობის მიზეზი თითქოს არ უნდა გვქონდეს, პირველი ორი აუქციონის ნუსხაში შეტანილი იყო ისეთი მნიშვნელოვანი საწარმოების ბაზაზე შექმნილი სააქციო საზოგადოებები, როგორიცაა, თბილისის რძის ქარხანა „ამალთეა“. სააქციო საწარმოო გაერთიანება „განთიადი“, ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, საქართველოს შაქრის კომბინატი „აგარა“, ფოთის წისქვილკომბინატი, თბილისის ორგანოთერაპიული პრეპარატების ქარხანა, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანა, ზესტაფონის კაბელნაკეთობათა ქარხანა, სასტუმროები „ივერია“ „აჭარა“, „უშბა“ ახლა მესამე აუქციონი მიმდინარეობს, მასზე გასაყიდად გამოტანილია შეიძლება მოცულობით ნაკლებ მნიშვნელოვანი, მაგრამ იქნებ უფრო პერსპექტიული საწარმოები. მათი აქციების შეძენის სურვილს კი არავინ გამოთქვამს, როგორც ამბობენ, ლეჩხუმელები ელოდებიან ლაჯანურჰესის სააქციო საზოგადოებად გარდაქმნას და პრივატიზაციას, რომ მისი აქციებით დაასაქონლონ კუთვნილი ვაუჩერი. როგორც ჩანს ეს უფრო უტყუარ და მომგებიან საქმედ მიაჩნიათ, მაგრამ რას ელოდებიან სხვები?

ისიც საკითხავია აქვს კი აზრი ამ ლოდინს იქნებ არც ღირს, იქნებ უარესიცაა, ვინ იცის, ამ კითხვაზე ახლა მაღალი ღმერთი თუ გაგვცემს პასუხს ჩვეულებრივი მოკვდავნი კი, რა გინდ დიდი ალღოიანობით, ბიზნესისადმი მიდრეკილებით და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ, ასეთ შემთხვევაში გარანტიებს ვერ იძლევიან და მხოლოდ ვარაუდებს გვთავაზობენ. მიდი და ენდე ამგვარ ვარაუდს, მით უფრო, იმ კაცისას, ვისაც თანამედროვეობრივად სპეციალისტი კი ეწოდება, მაგრამ საბაზრო ეკონომიკასა და ფინანსებში ცოტათი უკეთ თუ ერკვევა, ვიდრე მაგალითად, თქვენი მონა-მორჩილი ჩინურში. ასეთი სპეციალისტებით კი უხვადაა დაკომპლექტებული სამთავრობო ფინანსურ-ეკონომიკური უწყებები, სამაგიეროდ, მათ გარეშე მშვენივრად ძლებს და ყვავის კიდეც სავაუჩერო ბაზარი.

**ია ხმელიძე**

---

ფოტო

# სპეციალისტი და ქველმოქმედი

ბევრი რამ კარგი იწერება მედიცინის მუშაკთა მუშაობის შესახებ, განსაკუთრებით, ექიმებზე. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ვეტერინარული სამსახურის მუშაკებზე, ვეტექიმებზე. არადა დიდი საქმე ავალიათ მათ.

სვანეთის უღელტეხილებით აფხაზეთიდან ლტოლვილები ცაგერში სასტუმრო «ლეჩხუმში» მოვთავსდით. რომლის მომსახურე პერსონალი კარგი მოქცევით თითქმის ყველაფერს გვავიწყებს. ჯერ ბოსტნები გავაკეთეთ, მერე პირუტყვი და ფრინველი მოვაშენეთ. არავინ არ გვიკრძალავს, პირიქით, ხელს გვიწყობს. ვინ იფიქრებს, ცოლქმარი ლენა და ზაურ ლომთაძეები თავიანთ კარგად მოვლილ ჯიშიან ძროხას ხბოებით რომ ქუჩაში გაიყვანენ, თუ მისი პატრონი ლტოლვილია.

ზაურ ქომეთიანი აგერ ლორის ფერმას გააშენებსო,—ამბობენ და არც ტყუილია. მესამედ გადასახლებაში მყოფი პინა კოპალიანი ნაძვების პარკში წიწილებიან კრუხებს უთვალყურებს, ვასასი ჩაკვეტაძე ქათმებსა და ჭუკებს მწყემსავს.

ღვაწლმოსილმა პედაგოგმა მაშო კოპალიანმა თავის ინდაურსა და ჭუკებს იქვე სასტუმროს გვერდით მცხოვრები ნათესავების ცოლ-ქმარ უჟუნა და მიშა ახვლედიანების კარმიდამოში გაუჩინა ბინა. ეს მადლიანი ხალხი ყოველმხრივ უწყობენ ხელს, იხმარებიან, ეცოდებათ საცოდავი დედა. აბა, რა ქნან? ერთ დროს დიდი ოჯახის პატრონი, ახლა უსახლკაროა.

ერთ დილით ლტოლვილებს ფრინველები ავად დახვდნენ, რა გაშინებთ? ვეტექიმი შალვა სალინაძე იკითხეთ, ის წამალს მოგცემთ და ყველაფერი რიგზე იქნებაო, უთხრეს.

ასეც მოხდა. ექიმმა მოუსმინა შაოსან ქალებს.

წამალთან ერთად რჩევა-დარიგება მისცა. როცა წამლის ღირებულება შეაძლიეს, იწყინა, ტანჯულ ლტოლვილებს წამლის ფული როგორ გამოვართვაო.

შალვა გრიგოლის ძე სალინაძეს ვინ არ იცნობს ცაგერში, როგორც კარგ სპეციალისტს, თავის საქმის მცოდნეს. მან 1964 წელს დაამთავრა თბილისის ზოოვეტინსტიტუტი და მას შემდეგ მის საყვარელ ლეჩხუმში მუშაობს. ჯერ ცაგერში რაიონის ვეტსამკურნალოში, მერე დიდხანს ორბელში იმუშავა ვეტუბნის გამგედ, იქიდან კვლავ ცაგერშია. ყველას უყვარს ეს კეთილი კაცი. „კაი გამარჯობა“ რომ აკერია ენაზე.

**პიმენ ლეთოდიანი**

ჩვენ და კანონი

# ზღვარი და ნორმა მაინც დავამკვიდროთ

უმართავ ქვეყანაში რა გასაკვირია, რომ ცუდად დგას ტყისა და საერთოდ ბუნების დაცვის საქმე ასეთ ვითარებაში არაფერს მოგვცემს შეგონება, რომ ტყის გარეშე წარმოუდგენელია ჯანმრთელობა და თვით სიცოცხლეც კი. მეგონება არა და რკინის ხელი კი აშკარად სჭირდება იმ ათასი ჯურის ბარბაროსს, რომელიც ულმობლად ანადგურებს ტყეს

სამეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობა 19150 ჰექტარ ტყეს ფლობს, რომელსაც სამი უბანი: ორბელის, ალპანისა და ცაგერის ემსახურება. არცერთი უბანი არ არის უყურადღებოდ მიტოვებული, სერიოზული მცდელობაა ჩვენის მხრივ დავიცვათ ტყეები, შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული დავალებანი, შემან გარკვეული მოგებითაც კი დავამთავრეთ სამეურნეო წელი, მაგრამ გაკეთებული მინიმალური ადაც არ გვაკმაყოფილებს. იმდენი გულისტკივილი, იმდენი წინააღმდეგობა და ბარიერი გვხვდება მუშაობაში, რომ თუ ასე გაგრძელდა, ვფიქრობთ, ტყე საერთოდ აღარ გვექნება.

მაინც აქილევსის ქუსლი ჩვენს მუშაობაში ეს არის უნებართვო ჭრები. ჩვენ, მოგეხსენებათ, არა ვართ დამსჯელი სამსახური ჩვენი ზედამხედველობა და კონტროლი კი დღევანდელ. განუკითხავ დროში, სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს ნიშნავს ჩვენის აზრით, ერთადერთ გამოსავალს სამართალდამცავი ორგანოების დახმარებასა და თანადგომაში ვხედავთ. ამ დროს მათ ჩვენგან გადაცემული 1994 წლის

გოლეთიანი (ხოჯი), ზურაბ სილაგაძე (დეხვირი), იორამ გიორბელიძე (ოყურეში), იური, თენგიზ გოდერიძეები, ჯუსტან მახარობლიძე (ლაჯანა) და მრავალი სხვა.

წელს ცუდად დგას სამეურნეო წესით ხე—ტყის დამზადების საქმე მხედველობაშია საბიუჯეტო ორგანიზაციები, თუ შარშან ჩვენს მიერ სკოლებში შეზიდულ იქნა საკმაო ოდენობით შეშა, წელს ამის არანაირი საშუალება არ

რად ვაწყდებით უხერხულ წინააღმდეგობებს, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი. ვიმეორებთ—სწორედ ამიტომ გვჭირდება სამართალდამცავი ორგანოების დახმარება,

ძალიან ბევრი უარს აცხადებს დამზადებული ხე—ტყის გაბილეთებაზე. იმ მოტივით, რომ არა აქვს ფული. გვესმის, რომ დღეს ბევრს მართლაც არა აქვს საშუალება, უჭირს, შეშა და ხე—ტყე კი როგორც

ოდან განთავისუფლდნენ [illegible] ობილისა და [illegible] სატყეო უბნების უფროსები და ტყის დაცვის სპეციალისტები, [illegible] დაიწერათ უნებართვოდ მოჭრილი ხე-ტყის [illegible] იბულება. მაგრამ ეს როდია ჩვენი თვითმიზანი დირებულების ამოღება, მოქალაქეთა დაჯარიმება ეს ჩვენი მუშაობის ერთი მხარეა, იძულებითი მხარე და როგორც უკვე ვთქვით, ვერც ვაღწევთ მაგრამ კიდეც რომ ვაღწევდეთ, ეს როდია მთავარი მთავარი ის არის ტყე ნადგურდება და ჩვენ ტყისა და ბუნების დაცვის რამდენიმე სამსახურს არაფრით არ გვეპატიება შეგუება იმისა, რომ ასეთ განუკითხაობას გულხელდაკრეფილი ვუყუროთ, მარტო არც სამეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის მუშაკებს არც ბუნების დაცვის, პოლიციის ეკოლოგიურ სამსახურს და არც არავის ცალკე შევიძლია რამე, ყველას ერთად კი ნამდვილად შეგვიძლია, რომ ტყისა და ბუნების ექსპლოატაციაში რაიმე ზღვარი, ნორმა და წესი დავამკვიდროთ.

აქტებიც კი არ განუხილავთ. ეს კიდევ უფრო ართულებს მუშაობას.

1994—95 წლებში სულ დავაჯარიმეთ 75 მოქალაქე სათანადო აქტები გადაეცა პროკურატურას. მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ჩარიცხა თანხა ტყისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებლად. მაგრამ არიან მოქალაქეები, რომელთა მოქმედება ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ესენია გრიშა ბენდელიანი, მურმან ლეთოდიანი, ოთარ სალინაძე, ზურაბ ბენდელიანი, (ლუხვანოდან). სოგრატ, ოთარ კოპალიანები, (ჭალისთავი) ოთარ

გვაქვს, რადგან თანხები სრულყოფილად არ არის გადმორიცხული ჩვენს ანგარიშზე. ამიტომ ორგანიზაციებმა, რომლებსაც ჩვენ უნდა შევუზიდოთ შეშა, წინასწარ. 1 ავგისტომდე უნდა გადმორიცხონ თანხები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ მოვემსახურებით. დღეისათვის არა გვაქვს არცერთი გრამი საწვავი, რომლის გარეშე ვერაფერს გავხდებით.

ტყის მოვლა—დაცვისათვის ვატარებთ სისტემატურ რეიდებს, ვიღებთ კანონით გათვალისწინებულ ზომებს, მაგრამ ხში—

არასდროს იმდენი გვჭირდება რაც გამოწვეულია ქვეყანაში გაზისა და ელექტროენერგიის დეფიციტით მაგრამ ბევრი თვალის დაუხამხამებლად გასცემს 40—45 ათას რუბლს თუნდაც ერთ ტომარა მინერალურ სასუქში. უნებართვოდ მოჭრილი ხე—ტყის ასანაზღაურებელი თანხის გადახდა კი ზედმეტად მიაჩნია.

ზემოთ ვთქვით რომ ტყის ასეთი ექსპლუატაცია არანაირ ნორმასა და წესს არ ექვემდებარება. არ ვიმართლებთ თავს უნებართვო ჭრების გამოვლინებისათვის სამუშა—

**დათო ხეცურიანი,**
**სამეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის ტყის დაცვის ინჟინერი.**

---

# თუ ბუნებრივ რესურსებს უკეთ გამოვიყენებდით

ვისაც გაუვლია ლუხვანოს მიდამოებში არსებულ კერძოდ, ჩეროს, მორალის, სამგლიის, ჭიქელაშის, ნახიზარების, ყურთათანის სავარგულებში, არ შეიძლება გული არ ეტკინოს, როგორ უყაირათოდ ეპყრობიან ბუნებრივ რესურსებს. ვის არ ნახავთ აქ, შემოუკავებია მიწის ფართობი, ჩეხავს მცენარეებს და თესავს და რგავს სხვადასხვა კულტურას. თითოეულს ცალ—ცალკე აქვს ფართობი შემოკავებული, რაზეც უამრავი ხის მასალა დაუხარჯავს. მაშინ

როცა, თუ ვინმე საქმეს სათავეში ჩაუდგებოდა, მისი მთლიანად შემოკავება შეიძლებოდა, რაზეც ნაკლები ხის მასალა დაიხარჯებოდა, და შემდეგ დანაწილებულიყო მენაკვეთეებს შორის, არადა ულმობლად ნადგურდება წაბლის, მუხის, აკაციის ნარგაობანი, მარტო ჩეროს და მორალის მიდამოებში თვითნებურად 3—4—5 ათასი კვადრატული მეტრი სათიბები აქვთ შემოკავებული ისეთ პირებს, რომელთა მამა—პაპას თეხიც არ დაუდგამს ამ მიდამოებში სამგლიასა და ჭი—

ქელაშში სადგომებიც კი ჩაუდგამთ სულ უცხო პირებს,

ჭალაზე აეროპორტის ბოლოს 4 ჰექტარამდე სათიბი ფართობი, რომელიც წინათ ლუხვანოელთა კუთვნილება იყო, ახლა უპატრონოდაა მიტოვებული, როგორც კი ოდნავ წამოიზარდა ბალახი, შეესია ხალხი, ვინ არ იყო აქ და თვითნებურად სხვამ არ მომასწროსო. გაზრდაც კი არ აცალეს ისე მოთიბეს, მოჯიჯგნეს ბალახი და დაიტაცეს, ამასთან ზოგს ცხენი, ზოგს ძროხა და ზოგს ხბო ყავს ჩაბმული სათიბში ასე ნადგურდება ეს საუკეთესო სათიბი, განმკითხავი კი არავინაა

სანამ უნდა გაგრძელდეს ასეთი განუკითხაობა?

**მ. ჭალელი**

---

# კეჭნარა - ნაგავსაყრელი?

პირადი პრობლემები და თავის გადარჩენის ინსტინქტი იმდენად გამძაფრდა ჩვენში, რომ ირგვლივ ვერც კი ვხედავთ. ვერაფერს ვამჩნევთ, ან თუ ვამჩნევთ, ჩვენს მოსაგვარებლად არ ვთვლით.

ელემენტარული სანიტარული წესრიგი ჩვენი ჯანმრთელობა და სიცოცხლეა ეს ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ..

კეჭნარის ღელის სანაპიროზე, ქალაქის შემოსასვლელში, მგზავრთა მშვენიერი მოსაცდელი დგას. დღეს, როცა ავტობუსების მოძრაობა არანაირ გრაფიკს არ ემორჩილება, მოსაცდელთან სულ ნახავთ მგზავრებს, ხშირად საათობით მომლოდინეს.

საოცარი სიბინძურეა აქ არ გინდა დაიჯერო, რომ ნაგავს აქ ნორმალური ადამიანი ყრის. ყარს ყველაფერი, ბუზი და პირუტყვი ასევეა და ეპიდემიის გავრცელებას გვიქადის. კიდევ არის ღელეში ნაგვის გადაყრა (ისეა ამოვსებული გრუნტით, რომ ერთი წყალდიდობაც და ძველებურად შეგვახსენებს თავს), დანაშაულია, მაგრამ ამის გამო არ დაუყრიათ ნაგავი მოსაცდელის წინ, ღელის სანაპიროზე უბრალოდ, მათთვის ყველაფერი სულერთია, აბუჩად იგდებენ ქალაქს, ყველას და ყველაფერს.

აქვე ქალაქის სასტუმროა ლტოლვილებით დაკავებული, მოსახლეობაცაა მხოლოდ შედარებით მოშორებით. არავის ეპატიება ასეთი უმსგავსობა, ნაგვის დასაფლობი პაწია ორმოს გაკეთება რაღამ გაგვიჭირვა.

---

# ლეჩხუმელი «ლეჩხუმის» გარეშე? დაგჭირდებათ და აღარ იშოვით, გირჩევთ გამოიყენოთ ბოლო შანსი - ჩვენ ვაგრძელებთ ხელმოწერა «ლეჩხუმზე»

დღეს ძალზედ უჭირს ჩვენს რესპუბლიკას. ყველგან იგრძნობა მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობა. გაძვირებულია რესპუბლიკური გაზეთები, რომელთა გამოწერა პრაქტიკულად არც ერთ მოქალაქეს არ შეუძლია. ამიტომაა, რომ რაიონში არც ერთი ცალი გაზეთი არ არის გამოწერილი და არც შემოდის. შეიძლება ითქვას, ინფორმაციის ვაკუუმში მოვექეცით.

რომ არ გამოეთიშო დღევანდელ ცხოვრებას და გაერკვე ყოველდღიურ ინფორმაციაში ამ საქმეში თქვენ დაგეხმარებათ ჩვენი რაიონული გაზეთი „ლეჩხუმი".

მიმდინარეობს „ლეჩხუმზე" წლის მეორე ნახევრისათვის ხელმოწერა.

გამოწერა შეგიძლიათ ყოველდღე რედაქციაში. თუ ჩვენთან მოსვლას ვერ მოახერხებთ, მიმართეთ უახლოეს საფოსტო განყოფილებას.

„ლეჩხუმზე" ხელმოწერა 6 თვით მილიონნახევარი კუპონი ღირს. ბევრს შეიძლება იგი ძვირად მოეჩვენოს, მაგრამ ამ თანხით რედაქცია ერთ კილოგრამ ქაღალდსაც ვერ ყიდულობს.

**ლეჩხუმელებო, ნუ დარჩებით „ლეჩხუმის" გარეშე.**

**გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქცია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრავო, »საუნჯე«!

13 ივლისს ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში, გაიმართა კონცერტი კომპანია «ტრიო საუნჯის» ეგიდით. კონცერტში მონაწილეობდნენ თავად ტრიო „საუნჯე“, პოპულარული მსახიობები თენგიზ არჩვაძე და ზურაბ ქაფიანიძე, მომღერალი ნინო კრავეიშვილი. ცოდვა გამხელილი ჯობს და მაყურებელმა აშკარად უკმაყოფილოდ დატოვა დარბაზი. როგორც ჩანს, ბევრს მოკლე მოეჩვენა კონცერტი, ზოგი ამას თვით მსახიობებს აბრალებდა—ისე მოგვაჯადოვეს, დროის გასვლა ვერც კი გავიგეთ.

ზურაბ ქაფიანიძემ და თენგიზ არჩვაძემ ტკბილ—მწარე მოგონებებით, ლექსებითა და სიმღერით ერთდროულად აცინეს და ატირეს ხალხი, ხოლო ნინო კრავეიშვილის მომხიბლავმა ხმამ და ოსტატურად შესრულებულმა ფოლკლორულმა სიმღერებმა მგონი მართლა მოაჯადოვა ხალხი იმდენად, რომ ზოგჯერ ტაშის დაკვრაც ავიწყდებოდათ.

ყველაფერი იყო, სიყვარული, ხელოვნება, სითბო, ცრემლი და სიცილი, და სამწუხაროდ, არ იყო ყვავილები. როგორც ჩანს, მართლაც, ნიკო ნადირაშვილის სალამური ბულბულის ტკბილხმოვან გალობას თუ არ აღემატებოდა, არც ჩამორჩებოდა, ჩვენი მაყურებელი მარტო „ჩვენიანისთვის“ იმეტებს სასცენო წარმოდგენის ამ აუცილებელ ატრიბუტსა და ყველა მსახიობისთვის სასურველ საჩუქარს.

* * *

სარაიონო კულტურის სახლის სცენას მოწყენილობა არ ატყვია ჩვენი შემოქმედებითი ძალების წყალობით, მაგრამ იმ საღამოს სცენა მეზობელ ამბროლაურელ სტუმრებს დაეთმო

ამბროლაურის კულტურის სახლთან არსებული ვოკალური ჯგუფი სამუსიკო სკოლის პედაგოგებით და საერთოდ პროფესიონალებით არის შემდგარი (ხელმძღვანელი ნ. გოგშელიძე)

სტუმრებმა მშვენიერი საღამო გვაჩუქეს, სანაცვლოდ ჩვენი სითბო, ღიმილი და სიამოვნება გაიყოლეს

# შირმან მდივანი

დრო მიდის ძვირფასო მეგობარო, მაგრამ ვერა და ვერ ავერმკრთალებს შენს ხსოვნას, მით უფრო ვერ ავერმკრთალებს, როცა დღეს კაცობა, პატიოსნება და ზნეობა ასე ფასობს.

ხშირად, როცა ერთად ვართ, ჭირია თუ ლხინი, ჩვენს გვერდით ხარ შირმან, შენი გულიანი სიცილით, უშუალობითა და სიყვარულს გვინაწილებ.

ადრიანად წახველ ზეციურ სასუფეველში და ტკივილად დარჩი შენს კოლექტივში ისეთ დროს წახველ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდი ცოლშვილსა და მოხუც დედ—მამას, სჭირდებოდი საქმეს, საზოგადოებას.

რა ვქნათ ძვირფასო მეგობარო, რა შეგვიძლია, ის გვაიმედებს, რომ კაცური კვალი დატოვე ამ ქვეყნად, ლამაზი ოჯახი დატოვე, რომელიც თვალისჩინივით უფრთხილდება კარგი მეუღლისა და მამის სახელს.

ცოტა დაგვიანებით გილოცავთ დაბადების დღეს, შირმან.

საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები.

# ვალერი ანზორის ძე ახვლედიანი



ვალერი, უკვე ერთი წელი გავიდა, რაც შენ აღარა ხარ, დაგვაკლდი ყველას შენს ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს და საერთოდ ცაგერს. უშენოდ გავიდა ზაფხული, 2 თვეც და შენი დაბადების დღეც მოვა, მოვა უშენოდ. შენს მეუღლეს, დედას და სხვას ჯერაც არ შეშრობია თვალზე ცრემლი, იმედშემოძარცულია შენი მეუღლე, დედ—მამა, დები, სულ შენს ხსენებაშია შენი თათუკო, თამუნა, ენატრები ბავშვებს, ჰაელას ენატრები. შენით ამაყობდა შენი ოჯახი, ნათესავები, ახლა კი რით ვიამაყოთ, როგორი მომღიმარი იყავი სიცოცხლეში, ისეთი მომღიმარი ხარ სურათებიდან. შენს სახლში, სადაც გაიხედავ ყველგან შენი მომღიმარი სახე ჩანს სურათებიდან დიდხანს არ გიცოცხლია, მაგრამ რაც იცოცხლე, 26 წლამდე ვაჟკაცურად იცოცხლე, მართალია რომ არის ნათქვამი „სადაც არის ბედი შენი იქ მიგიყვანს ფეხი შენიო“, გიყვარდა სალოცავი გწყალობდა ღმერთი, არ ყოფილა ისეთი სალოცავი, სადაც შენ არ ყოფილიყავი წასული, იმ დალოცვილმა ღმერთმა მიგიყვანა შენი ფეხით, ლოცვითაც არ გილოცია, როცა გამოგასალმეს ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, ცაგერს, სახლიდან ღიმილიანი, სიხარულით სავსე წადი შენს მეგობრებთან ერთად მესტიის სალოცავ კალაში, მაგრამ დაბრუნებით კი მკვდარი ჩამოდი შენს მშობლიურ კუთხეში, შენს მშობლიურ ოჯახში, არავის არ ეგონა შენ თუ რამე მოგკლავდა, მაგრამ ერთმა ტყვიამ გამოგასალმა სიცოცხლეს, ვალერი, გვენატრები ყველას, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული ჩემო ვალე, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ცაგერის მიწა.

ფოთოლა ხეცურიანი.

---

ქვედა ცაგერის სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს მერი ცხვედიანს და ნანა ლეთოდიანს დედისა და ბებიის

**ნუცა ცხვედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

დადაში, ზაალ ჩაკვეტაძეები, კუკური, გურამ ბერიძეები შოთა სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ამირან ჩახულიანის ოჯახს დის

**ნაზიკოს**

გარდაცვალების გამო.

# გილოცავთ

**თეა ფუტკარაძეს, ამირან ჭილვერიას**

გილოცავთ ბედნიერებას.

დათო ხეცურიანი, ჯუმბერ ცვარიანი, ზაურ სერაპიონ, მიშა, გოჩა ახვლედიანები, ბესო მამარდაშვილი, იზო გოგოხია, გუჯუ გენდელიანი, გივი ხუმსაძე, ზურაბ თუთისანი ომარ სილაგაძე, გივი ქომეთიანი ოჯახებით.

---

**ზაირა სილაგაძეს**

გილოცავ დაბადების დღეს, იცოცხლე დიდხანს, გფარავდეს ღმერთი.

ნათლული ზურიკო ჩორგოლიანი.

---

**სოფო, გოჩა გოგებაშვილებს**

გილოცავთ ბედნიერებას.

ზურაბ გურგუჩიანი ოჯახით.

---

**ვენერა გოდერიძეს**

გილოცავთ გოჩას ბედნიერებას.

ორბელის კავშირგაბმულობის და შემბანკის თანამშრომლები.

---

შვილები კოლია, იზოლდა ლოლა, გოგუცა ფუტკარაძეები, სიძეები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, დები საშა, ნინა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რაისა გიორგის ასული ირემაძე—ფუტკარაძე**

---

სერაპიონ, მიშა, გოჩა ახვლედიანები თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ნინა ერმილეს ასული ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შოთა კოპალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ნინა გოლეთიანის**

გარდაცვალების გამო.

---

სოსო დავითულიანი ოჯახით თანაუგრძნობს დალი, დათო კოპალიანებს ბიძის

**თემურის**

გარდაცვალების გამო.

საყოფაცხოვრებო მომსახურების მუნიციპალური საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მზია ახვლედიანს დედის

**ხიკრას**

და ლერი ასამბიანს მამის

**კოლიას**

გარდაცვალების გამო.

---

ოთარ გაბისონია, ბუხუტი მეშველიანი, ავთანდილ კოპალიანი, ზურაბ ნემსწვერიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ნორა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საქსელო უბნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გია გენდელიანს ბიძის

**თემურ ბენიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვალერი ბენიძე ოჯახით თანაუგრძნობს ნელი ბენიძეს მეუღლის

**თემურ ბენიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნათელა ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნელი ბენიძეს მეუღლის

**თემურ ბენიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ და ბორის გოგიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ მთვარისა, ბორის გოლეთიანებს დედის

**ნინას**

გარდაცვალების გამო.

---

სანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მთვარისა და ბორის გოლეთიანებს დედის

**ნინას**

გარდაცვალების გამო.

---

თენგიზ, დათო, ავთო ჩიქოვანები ოჯახებით თანაუგრძნობენ მთვარისა და ბორის გოლეთიანებს დედის

**ნინას**

გარდაცვალების გამო.

---

სოზარ, ზურიკო თაბუაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ მთვარისა, ბორის გოლეთიანებს დედის

**ნინას**

გარდაცვალების გამო.

---

ქვედა ცაგერის სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ელისო გოგიძეს მამიდის

**ნადია გოგიძის**

გარდაცვალების გამო.

---

რუბენ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნორა ახვლედიანს დის

**ნინას**

გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელი—რედაქციის კოლექტივი
რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონი: 23—31.

ცაგერის რაიონული სტამბა